დანაშაულებათა კვლევა საქართველოში

2010 წლის გაზაფხულზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინანსებით, ჩატარდა „დანაშაულებათა კვლევა საქართველოში“. კვლევის ტექნიკური ნაწილი განახორციელა კომპანია „გორბი“-მ. საბოლოო ანალიზი მოამზადეს ვიქტიმილოგიისა და ადამიანის უსაფრთხოების პროფესორმა - იან ვან დაიკმა, და კრიმინოლოგიის პროფესორმა გიორგი ღლონტმა.

შერჩევამ მოიცვა მთელი საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა. გამოკითხული იყო 16 წლის და უფროსი ასაკის 3000 რესპონდენტი პირისპირ ინტერვიუირების მეთოდით.

დანაშაულებათა კვლევა საქართველოში (2010) სტანდარტიზირებულია ICVS[1] -ის კვლევასთან და მონაცემები შედარებადია საერთაშორისო შედეგებთან ვიქტიმიზაციის 10 ტიპის მიხედვით. კითხვარს ასევე დაემატა ვიქტიმიზაციის 11 კატეგორია ქვეყნის შიდა ანალიზისთვის. გამოკითხვამ მოიცვა დანაშაული, რომლის შედეგადაც დაზარალდა როგორც ინდივიდი და ოჯახი, ასევე დანაშაული, რომელმაც დააზარალა მხოლოდ ინდივიდი.

დანაშაულებათა კვლევის ძირითად მიგნებებზე საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ტენდენციებს:

[1] დანაშაულის მსხვერპლთა საერთაშორისო კვლევა (ICVS) პირველად 1987 წელს ჩატარდა ევრობელ კრიმინოლოგთა ჯგუფის მიერ. (Van Dijk, Mayhew, Killias, 1990). დღესდღეობით ICVS-ი მსოფლიოს სტანდარტიზებული კვლევის ერთ-ერთი წამყვანი პროგრამაა, რომელიც ზომავს ოჯახის მიერ გადატანილ დანაშაულთა მონაცემებს სხვადასხვა ქვეყანაში. 2005 წლის ბოლოსთვის 140-ზე მეტი ასეთი კვლევა ჩატარდა 78-ზე მეტ ქვეყანაში.

საქართველოს დანაშაულთა კოეფიციენტი, გასამართლებულების, პატიმრებისა და პრობაციონერების რაოდენობა და სხვა მაჩვენებლები ცვალებადობით გამოირჩევა, რაც გამოიხატება სხვადასხვა პერიოდებში მკვეთრ ზრდასა და შემცირებაში. 2003-7 წლებში შეინიშნება შსს-ს მიერ რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობის მატება 3.5-ჯერ (17397 დან 62283-მდე). ეს სავარაუდოდ უკავშირდება პოლიტიკური სისტემის ცვლილებას. 2003 წლამდე კორუფციის გამო პოლიციის მიერ არ რეგისტრირდებოდა დანაშაულის ყველა შემთხვევა. 2003-7 წლებში პოლიციაში განხორციელებული რეფორმის შედეგად დანაშაულთა უფრო სრული აღრიცხვა დაიწყო, რის გამოც ამ წლების ვიქტიმიზაციის დონე უფრო მაღალია ვიდრე 2003-ში და შემდეგ თანდათან დაიკლო, დანაშაულთან ბრძოლის პროპორციულად. 2007-10 წლებში დაფიქსირებულ დანაშაულთა რაოდენობამ დაიკლო 58%-ით. (62283-დან 35945-მდე)

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში ბოლო 5 წლის მანძილზე განმეორებითი ვიქტიმიზაციის ჩათვლით დანაშაულის შედეგად დაზარალდა რესპონდენტთა 29,7%, ხოლო გასული წლის რესპონდენტთა ვიქტიმიზაციის კოეფიციენტი 21 დანაშაულის მიხედვით 9,3%-ია.

ცხრილი 1 - ვიქტიმიზაცია გასული 5 წლის მონაცემების მიხედვით სხვა ქვეყნებთან შედარებით[2]

	კვლევის ჩატარების წელი	10 დანაშაული	ავტოს ქურდობა	ავტოდან ნივთების/ნაწილების ქურდობა	ავტოს ვანდალიზმი	მოტოციკლის ქურდობა	ველოსიპედის ქურდობა	ქურდობა ბინაში შეღწევით	ქურდობის მცდელობა ბინაში შეღწევით	მარცვა/ყაჩაღობა	სხვა პირადი ქონების ქურდობა	სქესობრივი დანაშაული	თავდასხმა და ძალადობის მუქარა
დანია	2005	52,2	4.8	11.2		2.1	23	10.9	6.9	3	11.9	4.6	9.6
ესტონეთი	2004	58,2	3.5	17.4	12.1		13.7	13.6	9.3	7.5	18.2	2.8	8.7
საფრანგეთი	2005	40,5	4.3	15.9		1.2	4.8	7.9	5.2	2.6	11.3	1.4	8.9
გერმანია	2005	43,1	2	10.1		0.6	13.9	3.5	5.2	1.8	14.7	6.5	12.1

[2] ICVS-ის კვლევის 2005 წლის მონაცემები შედარებულია 2010 წლის საქართველოს მონაცემებთან. იმის გამო რომ ვიქტიმიზაციის დონემ მსოფლიოში დაიკლო 2005 წლის შემდეგ, ქვეყნების ვიქტიმიზაციის საშუალო არითმეტიკული ქულა ახალი მონაცემებით შედარებით დაბალი იქნება მოცემულ რიცხვებზე, თუმცა საქართველოს მონაცემები ბევრად დაბალია სხვა ქვეყნებთან შედერებით და გვაძლევს შედარების საშუალებას.

საქართველო	2010	11.1	1.1	7.3	1.7	2.8	1.5	2.7	1.2	0.6	2.1	0.2	0.9
იტალია	2005	43,3	6.3	10.2		2.9	8.1	10.5	7.8	2.6	10.7	1.7	4.1
იაპონია	2004	32,4	0.5	6.7	13.9	3.1	20.2	3.6	2.6	0.4	0.7	3	1.1
ჰოლანდია	2005	58,3	2.8	17.1		1.5	28.9	6.4	7.1	3.4	15	6.1	13.9
ნორვეგია	2004	47,9	3.6	12.4		1	16.7	4.9	3.4	2.4	18.4	5.5	10.5
ესპანეთი	2005	42,7	6.1	18.1		1.9	3.2	5.2	4.5	5.9	12.4	1.4	9.7
შვეიცარია	2005	50	1.2	10		1.5	16.4	8.1	6.7	3	19.3	6.5	8.9
გაერთიანებული სამეფო	2005	48,3	7.2	18.9		1.9	7.8	9.3	8.1	5.9	13.8	4.9	13.4
აშშ	2004	40.2	3.9	15.2		0.4	7.3	6	6.5	2	14	10.7	11.2
საშუალო მონაცემები (საქართველოს გამოკლებით)		**46,4**	**3,9**	**13,6**	**13**	**1,6**	**13,7**	**7,5**	**6,1**	**3,4**	**13,4**	**4,6**	**9,3**
საქართველო		**11.1**	**1.1**	**7.3**	**1.7**	**2.8**	**1.5**	**2.7**	**1.2**	**0.6**	**2.1**	**0.09**	**0.9**

შენიშვნა: სქესობრივი დანაშაულის მონაცემები ეფუძნება მხოლოდ ქალი რესპონდენტების პასუხებს

10 სახეობის დანაშაულის მიხედვით ვიქტიმიზაციის დონის შედარებითმა ანალიზმა საქართველოს შემთხვევაში მსოფლიოს 12 ქვეყნის საშუალო მონაცემზე დაბალი მონაცემი გამოავლინა (საქართველოს ვიქტიმიზაციის საშუალო მონაცემი - 11,1%; მსოფლიოს 12 ქვეყნის საშუალო მონაცემი - 46,4%). მაგალითად ესტონეთში ეს მონაცემი (58,2%) ხუთჯერ ოფრო მაღალია საქართველოს მონაცემზე. მნიშვნელოვანია, რომ ესტონეთი ერთადერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანაა, რომელმაც ICVS-ის 2004 წლის გამოკითხვაში მიიღო მონაწილეობა.

დაცულობის განცდამ მნიშვნელოვნად მოიმატა ბოლო წლების განმავლობაში. რესპონდენტთა 95% თავს უსაფრთხოდ გრძნობს, როგორც დღისით, ასევე ღამით. 85% პოლიციის მუშაობას ეფექტურად აფასებს. გამოკითხულთა 72 % თვლის, რომ დანაშაულის დონემ იკლო, ხოლო 14%-მა საპირისპირო მოსაზრება გამოთქვა. რესპონდენტთა 45%-ის ვარაუდით მომავალი 5 წლის მანძილზე დანაშაულის დონე შემცირდება, მხოლოდ 8% თვლის რომ გაიზრდება და 35%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

გრაფიკი 1 - ზოგადად უსაფრთხოების განცდა



ცხრილი 2 - დანაშაულის შიში (გასული 12 თვის განმავლობაში)

	საერთოდ არ მეშინოდა	ნაკლებად მეშინოდა	(ჯამი) არ მეშინოდა	მეშინოდა	ძალიან მეშინოდა	(ჯამი) მეშინოდა
ფიზიკური თავდასხმის შიში	70.90%	25.80%	96.80%	2.50%	0.20%	2.70%
ფიზიკურ თავდასხმის შიში ოჯახის წევრზე ან ახლობელზე	65.80%	28.60%	94.40%	4.40%	0.30%	4.80%
ბინის გაქუდვის შიში	67.00%	27.50%	94.50%	4.10%	0.50%	4.60%

ვიქტიმიზაციის დონე რეგიონების მიხედვით

ვიქტიმიზაციის მაჩვენებლები განსხვავეულია საქართველოს რეგიონებში. მონაცემები უფრო მაღალია დიდ დასახლებულ პუნქტებში (38.5%) და შედარებით დაბალია პატარა დასახლებებში 25,9% (45000-ზე ნაკლები მოსახლეობით). რეგიონების მიხედვით კი მონაცემები მერყეობს 7,3%-იდან 42%-ამდე. ვიქტიმიზაციის დონის მიხედვით რეგიონების სამ ჯგუფად დაყოფა შეიძლება:

1. პირველ ჯგუფში შეგვიძლია გავაერთიანოთ ის რეგიონები, რომლებიც გამოირჩევა ვიქტიმიზაციის ყველაზე მაღალი დონით (შიდა ქართლი 43,8%, მცხეთა-მთიანეთი 35,2%, რაჭა/სვანეთი/იმერეთი 34,1%, სამეგრელო 27,7% და თბილისი 42%).

2. მეორე ჯგუფი მოიცავს ქვემო ქართლს 20,4%, გურიასა 14,5% და აჭარას - 14,7%.

3. ყველაზე დაბალია ვიქტიმიზაციის დონე სამცხე-ჯავახეთში - 7,3%.

აღსანიშნავია, რომ ამ კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები შეესაბამება შსს-ს მიერ რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკურ მონაცემებს.

ვიქტიმიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმები საქართველოში

გასული 5 წლის მანძილზე დანაშაულის შედეგად ვიქტიმიზაციის ყველაზე დიდი პროცენტი მოიცავს პირუტყვის ქურდობასა (7,6%) და ავტომობილიდან ნაწილების ან ნივთების ქურდობას (7,3%). ასევე დანაშაულის გავრცელებული ფორმებია ქურდობა ბინაში შეღწევით (2.7%), ქურდობა სადგომში ან საცავში შეღწევით (2.4%).

გასული 2009 წლის განმავლობაში გავრცელებული ვიქტიმიზაციის ფორმები აღმოჩნდა: მომხმარებლის მოტყუება 10.2%, სხვა პირადი ქონების ქურდობა 2.1%.

ცხრილი 3 - ვიქტიმიზაციის გავრცელებული ფორმები ბოლო 5 წლის მანძილზე და გასულ 2009 წელს.

	გასული 5 წლის განმავლობაში ვიქტიმიზაცია (%)	გასული 2009 წლის განმავლობაში ვიქტიმიზაცია (%)		გასული 5 წლის განმავლობაში ვიქტიმიზაცია (%)	გასული 2009 წლის განმავლობაში ვიქტიმიზაცია (%)
პიროვნების და ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული			**პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული**		
პირუტყვის ქურდობა	7.6	0.48	მომხმარებლის მოტყუება	10.2	5.08
ავტოდან ნაწილების ან ნივთების ქურდობა	7.3	0.8	სხვა პირადი ქონების ქურდობა	2.1	0.83
მოტოციკლის ქურდობა [3]	2.8	0	ძარცვა/ყაჩაღობა	0.6	0.19
ქურდობა ბინაში შეღწევით	2.7	0.51	თავდასხმა/ძალადობა	0.5	0.36
ქურდობა სადგომში ან საცავში შეღწევით	2.4	0.53	მექრთამეობა	0.5	0.2
ავტოს ვანდალიზმი	1.7	0.31	ძალადობის მუქარა	0.4	0.14
უძრავი ან სხვა ქონების ვანდალიზმი	1.7	0.3	პირადი საბანკო ანგარიშის ბოროტად გამოყენება სხვის მიერ	0.4	0.03
ველოსიპედის ქურდობა	1.5	0.06	სექსუალური დანაშაული	0.1	0.04

[3] გამოკითხულთაგან პატარა ჯგუფი ფლობდა მოტოციკლს და შესაბამისად მათი 2% -ის განზოგადება ვერ მოხერხდება გატაცებულ მოტოციკლთა რაოდენობის სიმცირის გამო.

ქურდობის მცდელობა ბინაში შეღწევით	1.2	0.16	პირადი ინფორმაციის გამოყენება ნებართვის გარეშე	0.1	0.01

ცხრილი 4 – ვიქტიმიზაციის პროცენტები გასული 5 წლის და ბოლო ერთი წლის მანძილზე. 1993, 1997, 2006 და 2010 წლის გამოკითხვის შედეგები.

	ბოლო 5 წ.	გასული 1 წ.	ბოლო 5 წ.	გასული 1 წ.	ბოლო 5 წ.	გასული 1 წ.
	1992		1996		2010	
ავტოს ქურდობა	15.4	6.3	16.8	3.35	1.1	0.02
ავტოდან ნივთების/ნაწილების ქურდობა	31.1	10.8	34.7	10.7	7.27	0.80
ავტოს ვანდალიზმი	14.5	4.1	5.1	1.7	1.7	0.31
ქურდობა ბინაში შეღწევით	9.9	2.5	13.8	3.6	2.7	0.51
ბინაში შეღწევის მცდელობა	8.2	2.1	9.7	3	1.2	0.16
ძარცვა/ყაჩაღობა	5.8	1.8	7.2	2.5	0.6	0.19
სხვა პირადი ქონების ქურდობა	13.4	3.5	19.1	6.5	2.1	0.83
თავდასხმა/ძალადობა	5.3	0.6	7.9	3.2	0.5	0.36

როგორც მეოთხე ცხრილიდან ჩანს, სხვადასხვა დანაშაულის ვიქტიმიზაციის დონე იცვლებოდა 1992-სა და 2005-ი წლების მანძილზე. მანქანის ქურდობამ პიკს მიაღწია 1992 წელს და შემდეგ დაიკლო. ბინაში შეღწევით ქურდობის უმაღლესი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2005 წელს. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 2005-9 წლებში. 2009

წელს ყველა ტიპის დანაშაულის მიხედვით ვიქტიმიზაცია დაეცა თითქმის ნულამდე. არც ერთი ტიპის დანაშაულის მონაცემი არ აღემატება 1%-ს. საერთაშორისო პერსპექტივიდან საქართველოს ვიქტიმიზაციის მონაცემები საკმაოდ მაღალი იყო სხვა ქვეყნებთან შედარებით, თუმცა 2009 წელს ეს მონაცემი უფრო დაბალია ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. თუ 1992, 1995 და 2005 წელს ვიქტიმიზაციის ტიპების მიხედვით საქართველოს საშუალო არითმეტიკული მონაცემი სხვა ქვეყნებს უსწრებდა, 2009 წელს იგი ბევრად დაბალი იყო საშუალო მონაცემზე (საერთაშორისო მასალისთვის იხილეთ Van Dijk, Van Kesteren & Smit, 2009[4]).

დანაშაულის განცხადება პოლიციაში

პოლიციისადმი მოსახლეობის დიდი ნდობისა და დადებითი განწყობის მიუხედავად მნიშვნელოვანი შედეგები გამოვლინდა პოლიციის გამოძახების სიხშირესთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 95%-ს არ გამოუძახია პოლიცია გასული 5 წლის მანძილზე. ხოლო იმ რესპონდენტთა უმეტესობას, რომელსაც მიუმართავს პოლიციის დახმარებისთვის გასული 5 წლის მანძილზე, პოლიციას დაკავშირებია მხოლოდ ერთხელ (71%), პოლიციისთვის ორჯერ მიუმართავს მხოლოდ 21%-ს ხოლო 3 და მეტჯერ - 8%-ს. პოლიციის გამოძახების სიხშირე სხვა რეგიონებზე თითქმის 2- ჯერ მეტია თბილისში, განსაკუთრებით მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახებში ან იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტის ოჯახური მდგომარეობაა „განქორწინებული“. რესპონდენტების 85%-ის აზრით პოლიცია დროულად მოვიდა. გამოკითხულთა მხოლოდ 3,5%-მა ისარგებლა ადვოკატის მომსახურებით პოლიციასთან ურთიერთობის დროს.

ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოს პოპულაცია ნაკლებად მიმართავს პოლიციის დახმარებას და შედარებით იშვიათად აფიქსირებს დანაშაულს დაზარალების შემთხვევაში. იმის გამო, რომ დანაშაულების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის დაფიქსირებული, რთულდება დანაშაულის განაწილებისა და ტიპების გამოვლენა და რეალურად ასახვა ისევე როგორც პრევენცია. პოლიციის რეპორტები როგორც წესი შეზღუდულ ინფორმაციას იძლევა დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა შესახებ. დანაშაულებათა კვლევამ საქართველოში შესაძლებელი გახადა დაზარალებულთა სოციო-დემოგრაფიული მონაცემების უფრო დაწვრილებითი გამოკვლევა. ასეთი მრავალმხრივი

[4] J.J.M. Van Dijk, J van Kesteren & P. Smit (2008), Criminal Victimisation in International Perspective ;key findings of the 2004-2005 ICVS and EUICS, The Hague: Boom Juridical Publishers.

ინფორმაცია კი პოპულაციის სხვადასხვა სეგმენტში დანაშაულის რისკ ფაქტორების გამოვლენასა და გაზომვის შესაძლებლობას იძლევა.

ცხრილი 5 - პოლიციისთვის დანაშაულის შეტყობინება. შედარებითი ანალიზი (%)

	ავტოს ქურდობა	ავტოდან ნივთების/ნაწილების ქურდობა	ქურდობა ბინაში შეღწევით	ქურდობის მცდელობა ბინაში შეღწევით	ძარცვა/ყაჩაღობა	სხვა პირადი ქონების ქურდობა	თავდასხმა და ძალადობის მუქარა
დანია	85	83	82	30	43	43	39
ესტონეთი	58	48	52	23	39	29	26
საფრანგეთი	77	64	77	45	44	47	40
გერმანია	76	79	86	51	36	43	24
საქართველო	47	11	48	7	45	18	43
იტალია	93	48	78	34	51	61	35
იაპონია	100	66	63	18	25	87	46
ჰოლანდია	95	79	92	52	52	54	33
ნორვეგია	93	70	72	31	59	50	34
ესპანეთი	82	58	63	34	48	46	38
შვეიცარია	75	69	82	50	45		22
გაერთიანებული სამეფო	87	68	88	48	62	59	37
აშშ	87	64	77	38	61	48	43

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია დანაშაულის პოლიციაში არ გაცხადების მიზეზების პროცენტული მონაცემები.

ცხრილი 6-ქურდობის ბინაში შეღწევით პოლიციაში არ გაცხადების მიზეზები; ევროპისა და საქართველოს მონაცემების შედარება

	საშუალო ევროპული მაჩვენებელი	საქართველო
პირადი/ოჯახის საქმეა	3.6	11
თავად მოვაგვარე პრობლემა	5.9	18
პოლიციისადმი არაკეთილგანწყობის/შიშის გამო	1.9	6
შურისძიების შიშის გამო	11.8	0
პოლიცია ვერაფერს გახდებოდა	30.2	21
პოლიცია არ დაინტერესდებოდა	5.6	20
არ ღირდა განცხადება/არ იყო სერიოზული შემთხვევა	22.2	34
მტკიცებულებათა არქონა	23.3	0
სხვა მიზეზები	37.0	17
არ ვიცი	7.7	5

განსაკუთრებით პრობლემური დანაშაულებანი საქართველოში

გამოკითხულთა უმეტესობის აზრით ყველაზე მწვავე პრობლემა საქართველოში არის ნარკომანია და მასთან დაკავშირებული დანაშაულები - ნარკოტიკების მოხმარება (31.6%) და ნარკოტიკებით ვაჭრობა (28,9%) . იმ პირებისადმი, რომლებიც ნარკობიზნესით არიან დაკავებული რესპონდენტების 86% ძალიან ნეგატიურადაა განწყობილი და მიაჩნიათ რომ ისინი უნდა დაისაჯონ თავისუფლების აღკვეთით.

ნარკოტიკების მოხმარების აქტუალურობაზე საუბარი თავისთავად მიუთითებს რესპონდენტების მიერ სხვა ტიპის დანაშაულებათა ვიქტიმიზაციის ნაკლებ მოლოდინზე, რაც გამოიხატა თავისი კონკრეტული პრობლემების ნაცვლად საზოგადოების გაჯანსაღების პრიორიტეტულ აღქმაში. ამ მოსაზრებას ასევე შეესაბამება დაბალი პროცენტული მონაცემები ვიქტიმიზაციის სხვა ტიპების მიხედვით და დამატებით მასალას გვაძლევს საქართველოში არსებული კრიმინოგენული სიტუაციის პოზიტიური შეფასებისთვის.

ცხრილი 7 - განსაკუთრებით პრობლემური დანაშაულებანი საქართველოში

	პირველი დასახელებული	მეორე დასახელებული	მესამე დასახელებული
ნარკოტიკების მოხმარება	31.6	21.8%	10.1%
ნარკოტიკების გასაღება	28.9	27.1%	7.9%
სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	18.0	16.6%	20.6%
ქურდობა	5.6	9.0%	9.3%
ტრეფიკინგი	3.3	5.3%	9.9%
ხულიგნობა	3.3	3.8%	9.4%

კორუფცია	2.0	3.5%	3.8%
თაღლითობა	1.8	3.5%	8.9%
ყაჩაღობა	1.6	3.5%	7.7%
სექსუალური დანაშაული	1.1	2.8%	4.0%
ძარცვა	0.8	2.6%	6.3%
ქურდული სამყაროს წევრობა	0.1	0.5%	2.1%

სიცოცხლის ხელყოფა (მკვლელობა) მიჩნეულია განსაკუთრებით პრობლემურ დანაშაულად გამოკითხულთა 18%-თვის. სხვა დანაშაულები, როგორიცაა ქურდობა, ტრეფიკინგი, ხულიგნობა, კორუფცია, თაღლითობა, შეიარაღებული ყაჩაღობა, ძარცვა, სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული და კრიმინალური საზოგადოების წევრობა როგორც პრობლემური, ჯამურად შეაფასა გამოკითხულთა მხოლოდ 15%-მა.

კრიმინოგენული სიტუაციის შეფასება საქართველოში

საქართველოს კრიმინოგენული სიტუაციის შეფასებისას საკმაოდ პოზიტიური შედეგები გამოვლინდა. გამოკითხულ მოსახლეობის 72% თვლის რომ დანაშაულის დონემ დაიკლო; 16% თვლის რომ კრიმინოგენული სიტუაცია გაუარესდა, ხოლო 7 %-ის აზრით დანაშაულის დონე არ შეცვლილა. სამართლებრივი რეფორმების შედეგები - სამართალდამცავი ორგანოების გაუმჯობესებული მუშაობა (58%) და სწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა - კანონიერი ქურდების[5] წინააღმდეგ ეფექტური ზომების გატარება (34%) დასახელდა დანაშაულის შემცირების მიზეზებად. იმ რესპონდენტთაგან, რომელთა აზრითაც დანაშაულის დონემ იმატა საქართველოში, მხოლოდ 6% თვლის ამის მიზეზად სამართალდამცავთა საქმიანობაში ხარვეზებს - პროფესიონალიზმის უქონლობას, ზედმეტად

[5] ტერმინი რომელიც გამოიყენება ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების წევრების მიმართ.

ლიბერალურ კანონმდებლობას. უმეტესობის აზრით კი დანაშაულის ზრდის მიზეზად დაასახელა უმუშევრობა (77%) და ცუდი ეკონომიკური პირობები (55%).

რესპონდენტებს ასევე დადებითი მოლოდინი აქვთ მომავალში დანაშაულის დინამიკის შეფასებისას. გამოკითხულთა 45% თვლის, რომ დანაშაული დაიკლებს, 13% მიიჩნევს რომ იგი უცვლელი დარჩება, 8%-ის აზრით გაიზრდება, ხოლო 34%-ს არ აქვს კითხვაზე პასუხი.

კრიმინოგენობის დონის შემცირების ერთერთ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ რესპონდენტების 91.9%-ის განცხადებით, ბოლო წლებში მათ არ ჰქონიათ საცხოვრებელ სახლში ან უბანში რაიმენაირი პრობლემა ფულის ან სხვა ნივთის თხოვნასა თუ მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამ ტიპის დანაშაული გავრცელებული იყო ვარდების რევოლუციამდე, როდესაც „კანონიერ ქურდებს“ მეტი ძალაუფლება ჰქონდათ საქართველოში.

გრაფიკი 2 –გამოძალვა („შეყენება“)



საზოგადოების აზრით დანაშაულებრიობის დონის დაკლებაზე მიუთითებს ისიც, რომ რესპონდენტთა 86% ის მოსაზრებით კრიმინალური ავტორიტეტების გავლენა ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა საქართველოში.

ცხრილი 8 - ქურდული სამყაროს ავტორიტეტის შეფასება გასული 5 წლის განმავლობაში

	%
საგრძნობლად მოიკლო	70
უმნიშვნელოდ მოიკლო	10
კრიმინალებს აღარ აქვთ ავტორიტეტი	6
მოიკლო (ჯამი)	86
დარჩა უცვლელი	3
უმნიშვნელოდ მოიმატა	1
საგრძნობლად მოიმატა	1
მოიმატა (ჯამი)	5

ცხრილი 9 -დანაშაულის დონის კლების მიზეზები (იმ 72% რესპონდენტთა აზრით, რომლებიც თვლიან რომ დანაშაულის დონემ მოიკლო ბოლო 5 წლის მანძილზე)

დანაშაულის დონის კლების მიზეზები	
სამართალდამცავი ორგანოების გაუმჯობესებული მუშაობა	58%
კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ეფექტური ზომების გატარება	34%
კორუფციის დაძლევა სახელმწიფო სექტორში	11%
კანონმდებლობის დახვეწა	9%
სამართლებრივი რეფორმების შედეგები	7%
დანაშაულის პრევენციის მიზნით ეფექტური ღონისძიებები	6%
ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება	5%

ცხრილი 10 -დანაშაულის დონის ზრდის მიზეზები (იმ 16% რესპონდენტთა აზრით, რომლებიც თვლიან რომ დანაშაულის დონემ მოიმატა ბოლო 5 წლის მანძილზე)

დანაშაულის დონის ზრდის მიზეზები	
ეკონომიკური არასტაბილობა და ფინანსური კრიზისი - უმუშევრობის ზრდა	77%
ცუდი ეკონომიკური პირობები	55%
ნეგატიური ფონური მოვლენები - ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის ზრდა	16%
აღზრდისა და მოვლის პრობლემები - ოჯახში არასასურველი მდგომარეობა	12%
პოლიტიკური არასტაბილობა	11%
ორგანიზებული დანაშაულის გამოვლინებები - იარაღით უკანონო ვაჭრობა	8%
სამართალდამცავთა საქმიანობაში ხარვეზები - პროფესიონალიზმის უქონლობა, ზედმეტად ლიბერალური კანონმდებლობა	6%
რუსეთთან ომის შედეგები	3%

საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემების შეფასება

ყველაზე მაღალ ნდობას, რესპონდენტთა აზრით, იმსახურებს საპატრულო პოლიცია, რომელიც ყველა მაჩვენებლით წინ უსწრებს სხვა ძალოვან სტრუქტურებს; რესპონდენტთა ნდობა იკლებს არასაპატრულო პოლიციის მიმართ. შემდეგ მოდის პროკურატურა 49% დადებითი და 26% ნეიტრალური პასუხებით. ბოლო ადგილზეა სასამართლო. აუცილებელია აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ პროკურატურის და სასამართლოს შეფასებისას რესპონდენტთა 20-მა პროცენტმა უარი თქვა პასუხის გაცემაზე, რაც უდავოდ აისახა საბოლოო შედეგებზე.

გრაფიკი 3 –საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემების შეფასება



კვლევის შედეგად გამოვლენილ სირთულეთა შორის აღსანიშნავია მოსახლეობის ფრთხილი დამოკიდებულება პროკურატურის მიმართ. კითხვაზე, ითანამშრომლებდა თუ არა რესპონდენტი გამოძიებასთან დანაშაულის ფაქტის ნახვის შემთხვევაში, რესპონდენტთა დიდი ნაწილი (54%) ცალსახად მზად იყო დახმარებოდა გამოძიებას; 23 არ იყო დარწმუნებული ითანამშრომლებს თუ არა; 21%-მა კი უარი განაცხადა ნებისმიერ თანამშრომლობაზე გამოძიებასთან. უარის მოტივებად დასახელდა: სამართალდამცავი სისტემისადმი უნდობლობა (16%), ანგარიშსწორების შიში (32%), პოლიციასთან თანამშრომლობის არაღირსეულ საქციელად მიჩნევა (11%) და დამნაშავის მიმართ ლმობიერების

გამოჩენა - „დამნაშავეც ადამიანია“(8%). ეს მონაცემები კავშირშია გამოძიებისადმი ნდობის დონესთან და მიუთითებს ამ სამართალდამცავი ორგანოს სერვისის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

გრაფიკი 4 - გამოძიებასთან თანამშრომლობა



პროკურატურის სერვისით კმაყოფილება

კვლევისას ასევე გამოიკითხა იმ რესპონდენტთა აზრი პროკურატურის მომსახურებაზე, რომლებსაც ჰქონიათ შეხება მასთან ეჭვმიტანილის, მოწმის, დაზარალებულის ან სხვა სტატუსით. მთლიანობაში გამოკითხულთა 4,3%-ს ჰქონდა ასეთი გამოცდილება. ამ სამიზნე ჯგუფის 18.0% ძალიან კმაყოფილი დარჩა პროკურატურის მომსახურეობით 16.5% დარჩა მეტნაკლებად კმაყოფილი, 19.1%-მა დაიჭირა ნეიტრალური პოზიცია, 14.4% დარჩა მეტნაკლებად უკმაყოფილო, ხოლო 27.2% - ძალიან უკმაყოფილო.

იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც უკმაყოფილონი დარჩნენ პროკურატურის მომსახურეობით, უკმაყოფილების ყველაზე მაღალი პროცენტები აქვთ დაზარალებულებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ დამატებითი ღონისძიებების საშუალებით პროკურატურის მომსახურეობა დაიხვეწოს და გახდეს მეტად ორიენტირებული მათ უშუალო ბენეფიციარებზე.

გრაფიკი 5 – პროკურატურის მომსახურებით უკმაყოფილება სტატუსის მიხედვით



	ეჭვმიტანილი	მოწმე	დაზარალებული	ადვოკატი	სხვა სტატუსი
მეტკნაკლებად უკმაყოფილო	22.80%	16.10%	21.40%	5.40%	34.40%
ძალიან უკმაყოფილო	24.00%	5.60%	47.80%	0.00%	19.10%

დასკვნა

დანაშაულებათა კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი შედეგები საქართველოში დანაშაულის დონისა და სამართალდამცავი ორგანოების შეფასებასთან დაკავშირებით. ასევე განხილულია ის ფაქტორები რომლებიც შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს. კვლევამ ვიქტიმიზაციის უპრეცედენტოდ დაბალი პროცენტები გვაჩვენა დანაშაულის 10 და 21 ტიპის მიხედვით. გამოკითხულ რესპონდენტთა შორის მაღალია სამართალ დამცავ ორგანოთა მიმართ ნდობა რაც პოზიტიურად მოქმედებს უსაფრთხოების აღქმაზე საზოგადოებაში. გამოკითხულთა 72%-ის აზრით დანაშაულის დონემ დაიწია საქართველოში და მომავალი 5 წლის მანძილზე მოსახლეობის შეფასებით მისი დონე კიდევ უფრო დაიწევს. დანაშაულებათა კვლევამ საქართველოში აგრეთვე განახორციელა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა და სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ ზოგიერთ დანაშაულზე გათვალისწინებული სასჯელის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით თითოეულ მათგანზე ხალხისათვის მისაღები დასჯის ფორმების გამოვლენა. კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა საზოგადოების აზრი ოჯახურ ძალადობასა და არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემასთან დაკავშირებით. კვლევის დაწვრილებითი მასალები შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე.

კვლევის ანალიზისას საზოგადოების მიერ გამოვლენილ კრიტიკულ აზრს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში დანაშაულის პოლიციაში განცხადებისა და პოლიციის გამოძახების დაბალი პროცენტი გამოვლინდა. ასევე კვლევის შედეგებში განხილულია იმ რესპონდენტთა უკმაყოფილება პროკურატურის მუშაობით, რომლებსაც დაზარალებულის სტატუსით ჰქონდათ ამ სამართალდამცავ ორგანოსთან შეხება. კვლევის შედეგები ობიექტურ მასალას იძლევა რომელთა გამოყენება შესაძლებელია სისხლის სამართალის პოლიტიკის დასახვეწად.

გამოყენებული ლიტერატურა

GORBI, 2010. *Crime Survey of Georgia* Tbilisi: Ministry of Justice.

MIA Georgia, 2010. *Official statistics of registered crimes 2001-2009.* Tbilisi: Ministry of Justice

UNICRI United Nations International Crime and Justice Research Institute, 1998. *"The International Crime Victim Survey in Countries in Transition"* National Reports; Publication No.62, Rome.

UNOMIG & SDC, 2006. *Crime survey of Georgia.* Tbilisi: Ministry of Justice.

Van Dijk, J.J.M., 2010. *Survey Research on Public Safety Confirms Significant Drop in Crime in Georgia*. Report summary. Ministry of Justice.

The Burden of Crime in the EU, 2005. *A Comparative analyses of the European Crime and Safety Survey*. EU ICS, FP6-2002-SSP-1.